

დისპოზიციურ განწყობათა როლი პიროვნების ქცევაში

მაღრაძე მერაბი – ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Role of Disposition Set in Behavior of Person

Maghradze Merabi – Associate Professor; Head of Department, Department of Philosophy and Psychology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Introduction and aim: Interpersonal relations are based on social set. In the western psychology dispositional set is considered as the determinant for such behavior, while in Georgian psychology the situation set is considered as determinant. The aim of our research is to show the role of fixed dispositions in formation of situational social set of the person.

Research methodology: According to the research aim, its main method was study and critical review of existing literature.

Results and implications: The study of existing literature regarding our issue has shown that all existing research can be positioned on two contradictory poles: one consider dispositional set as fatal factor and think that they are completely responsible for creation of situation set determining the behavior. The others emphasize the drastic role of situation. There are compromise versions as well, where interaction between disposition and situation factors is considered as determinant of new set but none of these approaches show the specific mechanisms of this interaction. Based on the understanding of set according to D. Uznadze, in our research we emphasize the circumstances that main factors of actual set are demand and situation. As for the third factor, in face of dispositional set, its importance depends on the nature of main factors. Specifically, we discuss this issue on the example of “Lapaier Paradox”.

Conclusion: In the determinaiton of personal (social) behavior the dispositional set is influenced by the demand and situation factors. The person can establish relations with other people according to the demand and not go under the influence of fixed stereotypes.

Keywords: person, set, social set, situational set, dispositional set, behavior

მესავალი და მიზანი: პიროვნებათაშორისი ურთიერთობები სოციალურ განწყობას ემყარება. დასავლურ ფსიქოლოგიაში ქცევის ასეთ განმსაზღვრელად დისპოზიციური განწყობები ითვლება, ქართულ ფსიქოლოგიაში კი სიტუაციური განწყობა. ჩვენი კვლევის მიზანია ვაჩვენოთ ფიქსირებულ დისპოზიციათა როლი პიროვნების სიტუაციური სოციალური განწყობის ფორმირებაში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მიზნის შესაბამისად, მის ძირითადი მეთოდს არსებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლა და კრიტიკული განხილვა წარმოადგენდა.

შედეგები და გამოყენება: სიტუაციურ განწყობას მთლიანად ისინი ქმნიან, მეორენი კი სიტუაციის გადამწყვეტ როლზე ამახვილებენ ყურადღებას. არსებობს კომპრომისული ვარიანტებიც, სადაც ახალი განწყობის ფორმირებაში დისპოზიციური და სიტუაციური ფაქტორების ინტერაქციაზეა საუბარი, მაგრამ არსად ნაჩვენებია არაა ამ ინტერაქციის კონკრეტული მექანიზმი. გამოვდივართ რა განწყობის უზნაძისეული ცნებიდან, ჩვენს კვლევაში ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ აქტუალური განწყობის ძირითადი ფაქტორებია მოთხოვნილება და სიტუაცია. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, დისპოზიციური განწყობის სახით, მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია ძირითადი ფაქტორების ხასიათზე. ეს საკითხი, კონკრეტულად, განხილული გვაქვს, ე.წ. „ლაპაიერის პარადოქსის“ მაგალითზე.

დასკვნა: დისპოზიციური განწყობა პიროვნული (სოციალური) ქცევის დეტერმინანციაში მოთხოვნილებისა და სიტუაციის ფაქტორებთან დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. პიროვნებას შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა დაამყაროს შექმნილი საჭიროების მიხედვით და არ მოექცეს ფიქსირებული სტეროტიპების ტყვეობაში.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, განწყობა, სოციალური განწყობა, სიტუაციური განწყობა, დისპოზიციური განწყობა, ქცევა

ადამიანის ქცევა პიროვნების დონეზე მაშინ მიმდინარეობს, როდესაც იგი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმას ითვალისწინებს. ადამიანი მხოლოდ სოციალურ ქცევაში წარმოსდგება პიროვნებად და არა მხოლოდ ცნობიერების უნარის მქონე სულიერ არსებად. რამდენადაც ყოველი ქცევა სათანადო განწყობის, ანუ ამ ქცევისათვის ორგანიზებული სუბიექტის მიერ ხორციელდება, განწყობა კი მოთხოვნილების, როგორც ქცევის მოტივაციის ძირითადი კომპონენტის ძალით იქმნება, ამდენად, პიროვნების ქცევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მის მოტივაციურ საფუძველში სოციალური ხასიათის მოთხოვნილებებია მოცემული. ყველა სხვა შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ნებისმიერი სულიერი არსება, რომელიც მხოლოდ იმით აღემატება ფსიქიკის მქონე სხვა არსებებს, რომ ცნობიერება გააჩნია და გარდა აქტუალურად მოცემული სიტუაციისა, თავისი მოქმედება აზროვნებისა და წარმოსახვის გზით შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებითაც შეიძლება წარმართოს.

სოციალური მოთხოვნილებები ადამიანის არსებობის სოციალური ქვესტრუქტურიდან წარმოსდგებიან და პიროვნული დონის ქცევებს აღძრავენ და წარმართავენ. გენეზისის ასპექტის გათვალისწინებით, მათ სოციოგენურ მოთხოვნილებებს უწოდებენ. თავისი არსებობის სულიერი და ბიოლოგიური ქვესტრუქტურებიდან წარმომდგარ მოთხოვნილებებს (ფსიქოგენურ და ბიოგენურ მოთხოვნილებებს), ადამიანი მხოლოდ სოციალურ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით იკმაყოფილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ყოველ, თუნდაც უმნიშვნელო, ქცევაში მონაწილეობს, თუკი ეს ქცევა რაიმე მიმართებაშია სოციალურ გარემოსთან. ჩვენი საკითხიც სწორედ იმის გარკვევას ეხება, თუ როგორ ახერხებს პიროვნება მუდამ თავის სადარაჯოზე იდგეს და არცერთ თავის მოთხოვნილებას (ბიოგენური იქნება იგი, ფსიქოგენური თუ სოციოგენური) არ მისცეს ნება, იმოქმედოს მისი სანქციის გარეშე. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში პიროვნების (მხოლოდ პიროვნების და არა საერთოდ ადამიანის) ქცევის სპეციფიკურ თავისებურებებზე შევჩერდეთ.

პიროვნების ცნების განმარტებათა ნაირგვარობის მიუხედავად, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგიაში აქვს ადგილი, მეტ-ნაკლებად, ყველა თანხმდება, რომ პიროვნების ქცევა, როგორც არ უნდა იყოს იგი შეფასებითი თვალსაზრისით (პროსოციალური თუ ასოციალური, მორალური თუ ამორალური, დევიაციური თუ ნორმატიული და ა.შ.), ხასიათდება დინამიკური კონსტანტურობით. პიროვნების ქცევის კონსტანტურობა იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა აკეთებდეს, რჩება ერთსა და იმავე პიროვნებად, მუდამ დგას რა ერთი და იგივე სოციალური ღირებულებების სამსახურში. სხვა საქმეა, რომ ინდივიდუალური ადამიანის სუბიექტურ განცდაში მოცემული ღირებულებები, რომლებიც ქმედით ძალად სოციოგენურ მოთხოვნილებათა სახით წარმოსდგებიან, შეიძლება სრულიადაც არ იყონ ნამდვილად ღირებული ობიექტური საზოგადოებრივი კრიტერიუმების მიხედვით, მაგრამ ფსიქოლოგია საკითხს ამ ასპექტით არ განიხილავს. მთავარია, რომ პიროვნების ქცევის სოციალური მიმართულების გენერალური ხაზი არ იცვლება გარემოებათა ცვალებადობის გავლენით. მაგალითად, თუ კონკრეტული პირის პიროვნებისეულ მახასიათებელთა შორის მოცემულია ისეთი თვისებაც, როგორც პატრიოტიზმია, ეს პიროვნება ამ თვისებას ავლენს ყველა თავის ქცევაში, დაწყებული მშობლიურ ბუნებაზე ზრუნვიდან და დამთავრებული ომში თავგანწირვით. რაც შეეხება პიროვნების ქცევის მეორე მახასიათებელს, დინამიკურობის სახით, იგი იმაზე მიუთითებს, რომ სიმყარესთან ერთად, პიროვნების ქცევას თავისებური მოქნილობაც ახასიათებს. ის მიყვება სიტუაციის ცვალებადობას და ყოველთვის, მეტ-ნაკლებად, მასთან შესაბამისობაშია. ე.ი. სიმყარე-კონსტანტურობა არ ნიშნავს, რომ პიროვნების ქცევა ყოველთვის ერთგვაროვანი, ხისტი და სტეროტიპული სახით გამოვლინდება. მოტივაციური და სიტუაციური ფაქტორების ცვალებადობის კვალობაზე ისიც თავისებურად ცვალებადობს, მაგრამ ინარჩუნებს ერთიან გენერალურ ხაზს, ერთიან ზოგად ღირებულებით ორიენტაციას.

ჩვენი საკითხი, როგორც ითქვა, იმის გარკვევას ეხება, თუ რა უზრუნველყოფს პიროვნების ქცევის, ანუ ადამიანის სოციალფსიქიკური აქტივობის, გენერალური ხაზის ისეთ უცვლელობას (კონსტანტურობას), რომ ადამიანი ყველა საქმეში რჩება ერთსა და იმავე პიროვნებად და ამასთანვე, მისი ქცევის ეს გენერალური ხაზი როგორღაც ყოველთვის შესაბამისობაში მოდის სიტუაციურ ცვლილებებთანაც. ტრადიციული ცნობიერების ფსიქოლოგია პიროვნების მთლიანობის მექანიზმს უნაყოფოდ ეძებდა სუბსტანციონალურ მოვლენებში, დაწყებული ადამიანის ნერვული სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური კონსტიტუციით და დამთავრებული ცნობიერების მოვლენათა სტრუქტურის კვლევით. ეს ძიება, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხით დამთავრდა, რადგან ბუნებაში ვერცერთი მოვლენა ან საგანი ვერ გამოდგება საკუთარი თავის ამხსნელ მიზეზად თუ საფუძვლად. დღევანდელ ფსიქოლოგიაში უფრო მეტად იმ თვლასაზრისმა მოიკიდა ფეხი, რომ პიროვნების არსს, რომელმაც მისი ფუნქციონირების (რაც ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო, ქცევის პიროვნულ დონეზე აწვევაში გამოიხატება) კანონზომიერება შეიძლება გაგვაგებინოს, მხოლოდ ორგანიზაციული შინაარსის ცნებამ: დღეს მეტ-ნაკლებად ყველა შეთანხმებულია, რომ პიროვნება, როგორც პიროვნებისულ ქცევათა ორგანიზატორი, მოცემულია გარკვეული მიმართულების სოციალფსიქიკური აქტივობებისათვის (ქცევებისათვის), დისპოზიციური მზაობის სახით. როგორც ყოველგვარი დისპოზიცია, პიროვნება ყალიბდება თანშობილ და შეძენილ მიდრეკილებათა ინტერაქციის შედეგად, მაგრამ ამჯერად გვანტერესებს არა ეს პროცესი, არამედ მისი შედეგი, პიროვნება, როგორც დისპოზიციური წარმონაქმნი: რა სახითაა იგი მოცემული და როგორ ახერხებს ინდივიდის ყველა მისწრაფების დაქვემდებარებას.

ქცევის გენერალური მიმართულების განმსაზღვრელ-შემანარჩუნებელი მყარი დისპოზიციის, როგორც სუბიექტის ორგანიზაციული მდგომარეობის, დასახასიათებლად, თანამედროვე ფსიქოლოგიაში, ყველაზე ხშირად განწყობის ცნებას მიმართავენ. მიაჩნიათ, რომ „გარესამყაროს ჩვენეული გაგება და შეფასება დამყარებულია ჩვენი ცხოვრების განმავლობაში შექმნილ განწყობებზე. განწყობები - ეს ის ორიენტირებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ნებისმიერ მომენტში „სრული მზაობით“ წარვსდგეთ ამა თუ იმ ადამიანის, მოვლენის ან ინფორმაციის წინაშე“ [1: 88]. დასავლურ ფსიქოლოგიაში განწყობის მხოლოდ ასეთი დახასიათებაა მიღებული. რამდენადმე ასევეა საქმის ვითარება ყოფილი საბჭოთა (თუ პოსტსაბჭოთა) სივრცის ფსიქოლოგიის იმ წარმომადგენლებთანაც, რომლებიც ქართულ განწყობის ფსიქოლოგიას არ იცნობენ, ან არ ცნობენ. რამდენადაც ჩვენ სოციალური, ანუ პიროვნებისეული ქცევა გვანტერესებს, ამდენად ყურადღებას შევაჩერებთ იმ ტიპის განწყობებზე, რომლებიც ამ სახის ქცევათა საფუძვლად არიან მიჩნეული. ესაა სოციალური განწყობა, რომელსაც ინგლისურენოვან ფსიქოლოგიაში ატიტუდს (Attitude) უწოდებენ. პიროვნების ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი გ. ოლპორტი მას განმარტავს, როგორც გამოცდილების გზით შეძენილ და პიროვნების ღრმა ფენებში ფესვგადგმულ რეაქციათა მზა სისტემას [2], რომელიც ვლინდება არა მხოლოდ რაიმე ობიექტის ზემოქმედებაზე პასუხის სახით, არამედ მისი მიღება-არმიღების სპეციფიკური განცდის სახითაც. მიღება-არმიღების ვალენტობა ქმნის მთლიანპიროვნულ ფსიქიკურ განზომილებას, რაც სოციალური განწყობის (ატიტუდის) ძირითადი მახასიათებელია.

განწყობის ცნება დ.უზნაძის მიერ შექმნილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ძირითადი ცნებაა. დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში [3], [4], საუბარია ორი სახის განწყობაზე. ერთია პირველადი განწყობა, რომელიც სიტუაციურად იქმნება სათანადო მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის ურთიერთშეხვედრის შედეგად. სხვაგვარად მას სიტუაციურ განწყობასაც უწოდებენ, რადგან იგი განსაზღვრავს ადამიანის ქცევის მიმდინარეობას, როგორც აქტუალური მოცემულობა. მეორეა ქცევის დამთავრების შემდეგ, მის საფუძვლად მდებარე აქტუალური განწყობიდან დარჩენილი დისპოზიციური მიდრეკილება ამ რიგის ქცევის ან მოქმედების შესრულებისაკენ, რასაც ფიქსირებული განწყობა ეწოდება. უზნაძის მიხედვით, განწყობა ფიქსირდება ისეთ პირობებში, როდესაც რომელიმე ქცევას

პიროვნებისათვის დიდი მნიშვნელობა აღმოაჩნდება, ან ერთი და იგივე ქცევა მრავალგზის განმეორდება. ასეთი ფიქსირებული განწყობა, თუკი მისი ქვემდებარე მოთხოვნილება, ან მისი შესატყვისი სიტუაცია კვლავ აღმოცენდება, გააქტიურდება, ანუ სიტუაციურ განწყობად წარმოსდგება და რეალიზდება თავის შესატყვის ქცევაში. რამდენადაც იგი დისპოზიციური წარმონაქმნია, ამდენად, ბოლოდროინდელ ქართულ ფსიქოლოგიაში მის აღსანიშნავად თანდათან სახელწოდება დისპოზიციური მკვიდრდება [5, 23].

შოთა ნადირაშვილის აზრით, ის დისპოზიციური წარმონაქმნი, რასაც საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში ატიტუდს უწოდებენ, უზნაძისეული ფიქსირებული (დისპოზიციური) განწყობის ცნებას შეესაბამება. ამის შესაბამისად, ატიტუდის კვლევის შედეგებს, რაც საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაშია მოპოვებული, იგი სოციალური განწყობის კვლევად თვლის და ამდიდრებს საკუთარი და მისი მიმდევრების კვლევებით მოპოვებული მასალებით [5]. გვერდს ვუვლით საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სრულად ემთხვევა ატიტუდიასა და დისპოზიციური განწყობის ცნებათა შინაარსი ერთმანეთს და ვუბრუნდებით საკითხს პიროვნების, როგორც სოციალური ქცევის ორგანიზატორის და წარმმართველი ინსტანციის ფუნქციონირების მექანიზმების შესახებ. შ. ნადირაშვილის თანახმად, პიროვნება დისპოზიციურ სოციალურ განწყობათა სისტემის სახითაა მოცემული.

ეს განწყობები ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ მოქმედებენ, არამედ ქმნიან ერთმანეთთან თავსებად განწყობათა მტევნებს, რომლებშიც გამოიყოფა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი (დომინირებული) განწყობა. ამ მიმართულების ყველა განწყობა მისი გავლენით წესრიგდება. საკუთარი ერის მიმართ განწყობა, მაგალითად, ქმნის ისეთ განწყობათა მტევანს, რომელშიც მოცემულია პიროვნების დამოკიდებულება ეროვნულ გმირებთან და მოღვაწეებთან, სხვა ერებთან და ა.შ. განწყობათა ასეთი მტევნები მრავალგვარია, რაც განპირობებულია იმ სოციალური ობიექტების მრავალფეროვნებით, რომელთა მიმართაც პიროვნებას მიღება-არმიღების ვალენტობაში მოცემული ღირებულებითი დამოკიდებულება შეიძლება გააჩნდეს. მაგალითად, განწყობათა ცალკე მტევანს ქმნის რელიგიასთან დამოკიდებულება, ცალკე მტევანს ჰუმანიზმთან დამოკიდებულება და სხვ. ნადირაშვილის აზრით, პიროვნება სწორედ დისპოზიციურ სოციალურ განწყობათა სისტემის სახითაა მოცემული. გამოდის, რომ თუ ვიცით პიროვნების დომინირებული განწყობა ამა თუ იმ მიმართულებით, შეგვიძლია მეტნაკლები სიზუსტით მოვახერხოთ იმის პროგნოზირება, თუ როგორ მოიქცევა იგი სათანადო სიტუაციებში.

განსხვავებულ თვალსაზრისს გამოთქვამს შალვა ჩხარტიშვილი. ამ მკვლევარის აზრით, შეუძლებელია პიროვნება, როგორც გარკვეული პრინციპების დაცვით ქცევისათვის მუდმივი მზაობა, მოცემული იყოს ფიქსირებული (თუნდაც მყარ დისპოზიციად ქცეული) განწყობის ფორმით. ყოველი დისპოზიცია მხოლოდ დროდადრო (ხელსაყრელ პირობებში) ავლენს თავს, ძირითადად კი ინაქტიურ მდგომარეობაშია. პიროვნების არსი ისაა, რომ იგი მუდამ თავის სადარაჯოზე და არცერთ მოთხოვნილებას არ აძლევს საკუთარ ბუნებასთან შეუსაბამო ქცევის ორგანიზების საშუალებას. ამიტომ, პიროვნება მხოლოდ ისეთი განწყობის სახით შეიძლება მოვიაზროთ, რომელსაც მუდმივად აქტუალური ხასიათი აქვს. პიროვნება, ყველა კონკრეტულ ქცევაში, სოციალური თვალსაზრისით პრინციპულად ერთიან გენერალურ მიმართულებას ინარჩუნებს იმის მეშვეობით, რომ მოცემულია ამ მიმართულებით ქცევისათვის მუდმივი მზაობის სახით. ამრიგად, პიროვნება მუდმივმოქმედი განწყობის მოდუსშია მოქმედებული და მუდამ აკონტერელებს კონკრეტულ ქცევათა განწყობებს. ე.ი. პიროვნება თავისებურად განწყობათა განწყობაა. დისპოზიციური განწყობები მხოლოდ მისი სანქცირებით ერთვებიან კონკრეტულ ქცევათა ორგანიზებაში და მასთან დაქვემდებარებაში მოქმედებენ [6: 235].

ვფიქრობთ, შ. ჩხარტიშვილის კონცეფცია უფრო მართებულია, ვიდრე დასვლური ფსიქოლოგიისა, რომელზე დაყრდნობითაც შ. ნადირაშვილის კონცეფციაა ჩამოყალიბებული. ამას აჩვენებს, საკუთრივ ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ შესრულებული კვლევა, რომელიც „ლაპიერის პარადოქსის“ სახელითაა ცნობილი [7]. კვლევა ჩატარდა გასული საუკუნის 30-ან

წლებში. იმ ხანს ამერიკაში სუფევდა რასობრივი შეუწყნარებლობა ჩინელთა მიმართ. ლაპიერმა სასტუმროს მეპატრონეებს დაუგზავნა წერილები შეკითხვით, მოემსახურებოდნენ თუ არა მათთან სტუმრად მისულ ჩინელებს. მცირე ნაწილმა შეკითხა უპასუხოდ დატოვა, ხოლო უმრავლესობამ უპასუხა, რომ თავის სასტუმროში ჩინელებს არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა. ითლება, რომ ამით გაირკვა მიღება-არმიღების ვალენტობაში გამოხატული სოციალური განწყობა ჩინელთა მიმართ. გამოკითხვიდან ცოტა ხნის შემდეგ, ლაპიერმა იმ სასტუმროებში, რომელთა მეპატრონეებმაც საკუთარ სასტუმროში ჩინელთა მიღება კატეგორიულად გამორიცხეს, გააგზავნა მდიდრულად ჩაცმული ახალგაზრდა ჩინელი ცოლ-ქმარი. ერთის გარდა, ყველა სასტუმრომ, წყვილი სიამოვნებით მიიღო და მაღალ დონეზე მოემსახურა. ამ შედეგის მიხედვით, ლაპიერი ასკვნის, რომ მეტყველებაში გამოვლენილი განწყობის საფუძველზე ქცევის წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

თუკი ეს ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ, ან პიროვნების განწყობა ვერ მიიწვდომება იმით, თუ რას ამბობს იგი, ან მომენტალურად მიღებულ გადაწყვეტილებას განსაზღვრავს არა დისპოზიციური განწყობა, არამედ სულ სხვა რამ. როგორც არ უნდა იყოს, ორივე შემთხვევაში გამოდის, რომ დისპოზიციური განწყობა პიროვნების ქცევის წარმართველი ძირითადი ცვლადი არ ყოფილა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ განწყობის უზნაძისეულ ცნებას, რომლის მიხედვითაც ქცევას უშუალოდ განსაზღვრავს აქტუალური, ანუ სიტუაციური განწყობა, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება: შექმნილმა სიტუაციამ, სადაც იკვეთებოდა მდიდარი კლიენტების მომსახურებით საკუთარი ბიზნეს ინტერესების დაკმაყოფილების პერსპექტივა, სასტუმროს მეპატრონეები აიძულა გვერდზე გადაედოთ საკუთარი დისპოზიციური დამოკიდებულება (ატიტუდი) ჩინელების მიმართ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პიროვნების ღრმა ფენებში ფიქსირებულად მოცემული დამოკიდებულება სრულიად უმოქმედოა, მაგრამ იგი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც პიროვნების მუდმივად აქტიური გენერალური განწყობა ამას დაუშვებს. მოყვანილ მაგალითში ასე მოხდა შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს, როდესაც პიროვნების მუდმივად აქტიურ განწყობათა განწყობას, რომელიც პირველ რიგში ბიზნესის ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული, ჩინელების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოთქმაში ხელს არაფერი უშლიდა.

ამიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისპოზიციური განწყობა პიროვნული (სოციალური) ქცევის დეტერმინანტიაში სიტუაციურ ფაქტორებთან დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. პიროვნებას შეუძლია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა დაამყაროს შექმნილი საჭიროების მიხედვით და არ მოექცეს ფიქსირებული სტერეოტიპების ტყვეობაში.

ლიტერატურა

- [1] Годфруа Ж. Что такое психология, Т. 2, М. 1996
- [2] Allport G. W. Attitudes In Murchison (ed.). The handbook of social psychology, 1935
- [3] უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998
- [4] უზნაძე დ. შრომები, ტ., VI, თბ., 1977
- [5] ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპოლოგიური თეორია, თბ., 2001
- [6] ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975
- [7] La piere R. T. Attitudes Versus Aktion, Soc. Firce, v 13, 1934